სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/76

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო სკოლის საბჭოს 2023 წლის 1 დეკემბრის №9 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/218 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ დიზაინის საერთაშორისო სკოლის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებული იქნეს;

ბ) მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

გ) მე-10 მუხლის მე-6-მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

7. სასწავლო დარგში დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, სკოლის სასწავლო ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება.

8. დეკანის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართულობისა და ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

9. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

10. დეკანის არყოფნისას სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანის ერთ-ერთი მოადგილე, დეკანის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.“;

დ) მე-14 მუხლი ამოღებული იქნეს.

2. დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სკოლის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში და აისახოს უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**